პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 დეკემბერი, 1949 წ. № 242 (8545). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

მილიონთა შეჯიბრება—„პრავდის“ 7-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
ფართოვდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).
მთელი მსოფლიოს მშრომელები გამოხატავენ რწმენას ნ. ყვარუღლა და მადლობას თავიანთი მელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტი ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მილიონთა შეჯიბრება

დღითიდღე მრავლდება საბჭოთა ხალხის თავდადებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. მილიონობით საბჭოთა ადამიანი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვის ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი დიდი სოციალისტური საშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

სოციალიზმი შევიდა საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. ახალი, სოციალისტური ყოფაცხოვრების თავისებურებანი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენენ თავს შრომისადმი საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულებაში. საბჭოთა ადამიანებს შრომა მიიჩნიათ დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმედ, ღირსებისა და დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ.

ამხანაგმა სტალინმა მუშათა და გლეხთა შრომას უწოდა დიადი და შემოქმედებითი შრომა, რომელიც ისტორიის ბედს წყვეტს.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი უდიდესი ერთგულება ლენინ-სტალინის იდეებისადმი, დაუშრეტელი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინა თავდადებულ შრომაში საბჭოთა საშობლოს საკეთილდღეოდ.

ამჟამად, როცა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი და მთელი მოწინავე კაცობრიობა ემზადებიან მშრომელთა დიდი მელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად, მთელ ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებაა. ფაბრიკა-ქარხნებში, ქვანახშირის შახტებსა და ნავთის სარეწებში, რკინიგზის ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ფართოდ და მძლავრად ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ამ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მილიონობით მონაწილე მიზნად ისახავს ახალი შრომითი გმირობით აღნიშნოს ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ ფიქრებსა და გრძნობებს მიაპყრობენ ხალხთა დიდ მელადს და გამსჭვალული არიან მისწრაფებით — იმუშაონ უკეთ და უფრო ნაყოფიერად, რათა თავიანთი შრომით უფრო განამტკიცონ და ასახელონ სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა ადამიანები თავიანთ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით, რომ სოციალიზმი და შრომა განუყოფელია. მთელი ჩვენი წარმატებანი, ჩვენი ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვება, რომლებიც მოპოვებულია თავდადებული შრომითა და გმირული ბრძოლით, განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის ძვირფას და საყვარელ სახელთან.

ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის მძლავრი შრომითი აღმავლობის, ინიციატივისა და შემოქმედების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში პირველი ხუთწლედის პერიოდში მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის წარმოშობა, მეორე ხუთწლედის წლებში საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის წარმოშობა, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

იმ ყურადღებით, რასაც ლენინ-სტალინის პარტია აქცევდა და აქცევს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას, მკაფიოდ გამოიხატა დიადი სტალინური მზრუნველობა ახალის, კომუნისტურის ყლორტებისათვის, მათდამი ყოველმხრივ მხარდაჭერისა, მათი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

განავითარა რა ლენინური მოძღვრება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, საბჭოთა საზოგადოებაში მისი როლის შესახებ, ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ შეჯიბრება არის **კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა** მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის** საფუძველზე. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა შეჯიბრების უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

„ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში ის არის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, — რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაყვანო და მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას თვლიდნენ წინათ, ხდის **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **სამამაცისა** და **გმირობის** საქმედ. არაფერი ამის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში“.

სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ცხოველმყოფელი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში. უკვე 1949 წლის ოქტომბერში ჩვენი მრეწველობის პროდუქციამ 50 პროცენტითა და მეტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საშუალო თვიურ გამოშვებას და აგრეთვე გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის გათვალისწინებული წარმოების საშუალო თვიურ დონეს. მტკიცედ მიდის წინ სოფლის მეურნეობა. წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი მეტია, ვიდრე 1948 წელს, და მან ომამდელი 1940 წლის მოსავალს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

შეჯიბრების სიცოცხლისუნარიანობა იმითაც გამოიხატება, რომ იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ახალ-ახალი ფორმებით. საბჭოთა ადამიანები ცდილობენ სამშობლოს სამსახურში ჩააყენონ წარმოების დამატებითი რეზერვები, რისთვისაც ფართოდ გააჩაღეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი სახსრების უკეთ გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის.

ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის მზადების დღეებში უფრო ძლიერდება მილიონობით მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივა, ფართოვდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

მრავალი ათასი საწარმოს კოლექტივები კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს — ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი აღნიშნონ მადნის, ქვანახშირის, ნავთის ზეგეგმითი მოპოვებით, ლითონის, მანქანების, ელექტროენერგიის, საშენი მასალების, მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა და სხვა პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებით.

ურალისა და ციმბირის, ჩვენი ქვეყნის ცენტრისა და სამხრეთის მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს — გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მოგვცენ თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მადანი. ნავთის მოპოვებისა და გადამუშავების გადიდებით ხვდებიან ღირსშესანიშნავ თარიღს ბაქოს და ნავთის სხვა რაიონების მუშაკები. დონბასის, კუზბასის, მოსკოვის აუზის, ყარაგანდის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა პირობა დადეს გეგმის გადამეტებით მოიპოვონ დიდძალი ქვანახშირი. სტალინის, მოსკოვ-დონბასისა და სხვა რკინიგზების მუშაკებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით დატვირთონ ათეულ ათასობით ვაგონი და გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის ბევრი მაჩვენებელი.

ახალი შრომითი გმირობით ეგებებიან 21 დეკემბრის დღეს საბჭოთა მანქანათმშენებლები. მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანამ გადაწყვიტა — ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის დღისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას ასობით ელექტროძრავი და ბევრი სხვა პროდუქცია.

მილიონობით მანეთის მანქანებს, დაზგებსა და მოწყობილობას უმვბებენ დამატებით დედაქალაქის სხვა საწარმოები და ლენინგრადის, უკრაინის, ურალისა და ვოლგისპირეთის მანქანათმშენებელი ქარხნები.

თვალსაჩინო შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის დაბადების დღეს ჩვენი მშენებლები, სატყეო და ქიმიური მრეწველობის, საშენი მასალების მრეწველობის მუშაკები, მსუბუქი, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების მუშები, ყველა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები.

მუშათა კლასთან ერთად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში სასახელო პატრიოტული საქმეებით ეგებებიან ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები.

მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მთელი ჩვენი სახალხო საბჭოთა ინტელიგენცია ცდილობენ შემოქმედებითი საქმიანობის ახალი აღმავლობით აღნიშნონ ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავი. საბჭოთა ადამიანები სამშობლოს სასახელოდ შთაგონებული შრომით ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას მშობლიური სტალინისადმი.

ახალ-ახალი გამარჯვებით ეგებება რა ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს, ყველა საბჭოთა ადამიანი საყვარელ ბელადს უსურვებს მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას მთელი მოწინავე კაცობრიობის საბედნიეროდ და სასიხარულოდ.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გადაწყვიტეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები. დიდი სტალინის ბრძნული წინამძოღოლობით საბჭოთა ხალხი თაოსანებით შრომობს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

„პრავდის“ 7/XII მოწინავე

1949 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა. „პოლიტბიუროს სხდომა“.
ნახატი მხატვარ დ. ნალბანდიანისა (საკედესის ფოტოქრონიკა)

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ვადამდე 101,3 პროცენტით შეასრულეს ბამბის ნედლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა. 1 დეკემბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 16.190 ცენტნერით მეტი ბამბის ნედლეული, ვიდრე 1948 წელს. ბამბის კრეფა გრძელდება. რესპუბლიკისათვის დაწესებული ბამბის ნედლეულის დამზადების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. ალავიძე
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. როგაჭიძე

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 101 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ალავერდაშვილი და მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაზნიაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 1.300 ცენტნერი ბოსტნეული

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 101 პროცენტით შეასრულეს ბოსტნეულის დამზადების გეგმა.

კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.300 ცენტნერი ბოსტნეული.

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 106,4 პროცენტით, რძისა—100,3 პროცენტით, კვერცხისა—104,9 პროცენტით, ბრინჯზა ყველისა—110,5 პროცენტით, მატყლისა—142,0 პროცენტით, მსხვილი ტყავისა—100,9 პროცენტით, წვრილი ტყავისა—100,3 პროცენტით, ოორის ტყავისა—106,6 პროცენტით, ბეწვეულის ნედლეულისა—100,8 პროცენტით, კარტოფილისა—117,5 პროცენტით, თივისა—103,6 პროცენტით და მრავალწლიანი ბალახების თესლისა — 107,4 პროცენტით.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი სოია

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს სოიის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი სოია.

აჭარის კოლმეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 2 დეკემბრისათვის 101,8 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა.

შეასრულეს ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა

ვადამდე შეასრულეს ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა: სამტრედიის რაიონმა—105,2 პროცენტით, ტყიბულისამ—115, წულუკიძის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონებმა — 100 პროცენტით.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა წითელწყაროს, მარნეულისა და კაჩრეთის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, აგრეთვე რესპუბლიკის საშუალო სკოლების მასწავლებელთა დიდ ჯგუფს.

ლენინის ორდენი გადაეცა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლურს ბ. გ. ალადაშვილს, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,9 ცენტნერი ყურძენი, იმავე კოლმეურნეობის მერგოლურს ტ. ი. ალადაშვილს, რომელმაც 5,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87,5 ცენტნერი ყურძენი და იმავე კოლმეურნეობის ბრიგადირს ა. ნ. სეფიაშვილს, რომელმაც 86,7 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა 10,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე.

შრომის წითელი დროშის ორდენი წითელწყაროს რაიონში 11 კაცმა მიიღო.

შემდეგ ამხ. ვ. ბ. გოგუამ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად გადასცა მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლურს ს. ა. ალიევს, რომელმაც სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა „ტრაპიზონის“ ჯიშის 29,1 ცენტნერი თამბაქო, და იმავე კოლმეურნეობის მერგოლურს ს. ნ. მასიმოვს, რომელმაც 31,9 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

შრომის წითელი დროშის ორდენი მარნეულის რაიონში მიიღო 3 კაცმა, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ —5 კაცმა.

მათ შემდეგ ჯილდოები გადაეცათ კაჩრეთის რაიონის მოწინავე მევენახეებს. ლენინის ორდენი მიიღეს: ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ლ. გ. ავაქოვამ, რომელმაც სამი ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,9 ცენტნერი ყურძენი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ი. მ. ადუაშვილმა, რომელმაც 76 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, და სხვებმა, სულ 4 კაცმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 6 კაცმა, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ — 10 კაცმა და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 12 კაცმა.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ ჯილდოები გადასცა აგრეთვე რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სკოლების მასწავლებლებს. ლენინის ორდენი გადაეცა 26 კაცს. მათ შორის არიან თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 8 სკოლის მასწავლებელი ნ. ი. თაბუკაშვილი, ოჩამჩირის რაიონის № 27 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ვ. კოლბაია, ქუთაისის № 20 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. მ. ჩიკვაიძე და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 20 კაცმა, სპატიო ნიშნის ორდენი — 16 კაცმა, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ — 28 კაცმა და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 26 კაცმა.

დასასრულ ამხ. ვ. ბ. გოგუამ დაჯილდოებულთ მიმართა მოკლე სიტყვით, რომლითაც მიულოცა ჯილდოების მიღება და უსურვა წარმატება შემდგომ მუშაობაში. (საქდესი).

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1949 წლის 5 დეკემბერს გარდაცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გენერალ-პოლკოვნიკი ივანე ვასილის-ძე **როგოვი.**

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი

ამ დღეებში შედგა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: სვერდლოვსკის საოლქო კომკავშირულ ორგანიზაციაში საკავშირო ალკკ რიგების ზრდის შესახებ (მომხსენებელი საკავშირო ალკკ საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნიკიტინი) და სტალინგრადის ფ. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ქარხნის ალკკ კომიტეტის მდივანი ამხ. ბოგატირიოვი).

აღნიშნულ საკითხებზე მიღებულია სათანადო დადგენილებანი.

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲪᲮᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის წლის დასაწყისში ნაკისრი ჰქონია ვალდებულება წლიური გეგმა შეესრულებინა 21 დეკემბრისათვის. ახლა ბათუმელმა მენავთეებმა იკისრეს 15 დეკემბრისათვის გაანაღდონ წლიური გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ნავთპროდუქტები, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით მიაღწიონ 3 მილიონამდე მანეთის ეკონომიას, 10 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და წელს მიაღწიონ ნავთპროდუქტების გამოშვების 1950 წლის გეგმით გათვალისწინებულ დონეს.

ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სასახელოდ გაანაღდა საოქტომბრო და სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და კვების მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცა ათობით მაღალხარისხოვანი რთული მანქანა. ამჟამად ბათუმელი მანქანათმშენებლები ჩაბენენ დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში და იკისრეს 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩაის ფაბრიკებისათვის დაამზადონ ჩაის მწვანე ფოთლის საგრეხი სამი მანქანა. ქარხნის კოლექტივი დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგა და პირნათლად ასრულებს ვალდებულებას.

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ერთსულოვნად ჩაებნენ მომთუთიებელი, კოფეინისა და ლუდის ქარხნების, საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივები, რომლებმაც უკვე გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები და ამჟამად 1950 წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მშრომელები კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ და ენერგიულად იბრძვიან მათი განაღდებისათვის.

საავტომობილო ქარხნის ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი ერთსულოვნად დადგა სტახანოვურ ვახტზე. ქარხანაში შექმნილი ათი ახალგაზრდული ბრიგადა ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობის ტემპს. ამ ბრიგადებში გაერთიანებული კომკავშირელები მ. ჩეჩელაშვილი, ზ. ნუცუბიძე, შ. თუთბერიძე, ვ. ქალიაშვილი, ა. კურტანიძე და სხვები 200-250 პროცენტით ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმებს.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელიც 21 დეკემბრისათვის ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად იბრძვის, ყოველდღე გეგმის გადამეტებით ათასობით ქილა კონსერვს უშვებს.

21 დეკემბრისათვის აბრეშუმკომბინატის საამქროთა ნოვატორები ახალ საჩუქრებს ამზადებენ. აბრეშუმსართავ საამქროში მოხარშული პარკის საფთილავი მანქანა დიდძალ დანაკარგს იძლეოდა. მექანიკოსმა ნ. კიკვიძემ, წარმოების უფროს ნ. კაზბეკოვთან ერთად დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით მოახდინა მანქანის რეკონსტრუქცია. მანქანის ნემსებიანი ღერძი და დამჭერი დანა შეცვალეს წვრილნემსებიანი დოლით და მცირედიამეტრიანი მკვებავი ღერძით, რის შემდეგ პარკის მფთილავი მანქანის კონსტრუქცია დიდად გამარტივდა, 50 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით აბრეშუმკომბინატის სპეციალისტები და სტახანოველი ფეიერები რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებით ქვეყანას ნახევარ მილიონ მანეთ ეკონომიას მისცემენ.

ასეთივე შრომითი წარმატებებით ხვდებიან ბელადის დაბადების 70 წლისთავს ლიტოპონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ადგილობრივი მრეწველობისა და რკინიგზის კვანძის საწარმოთა მრავალრიცხოვანი კოლექტივები.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲕᲐᲦᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲒᲐᲠᲐ. (საკ. კორ.). აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ნოემბრის გეგმა. მიმდინარე წლის ნოემბერში გასული წლის ნოემბერთან შედარებით გამოშვებულია 12 ათასი ფუთით მეტი შაქარი.

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა იკისრა 21 დეკემბრისათვის გაანაღდოს შაქრის გამოშვების წლიური გეგმა, აგრეთვე ვადამდე უზრუნველყოს მეოთხე კვარტალის გადიდებული გეგმის შესრულება.

ᲤᲝᲗᲘ. („კომ.“ კორ.). ქალაქის სამრეწველო კომბინატმა ვადამდე ერთი თვით ადრე, 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 12 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 442 ჰექტოლიტრი ლუდი, 30 ათასი ცალი აგური, დამზადებულია 5 ათასი კუბმეტრი შეშა.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომბინატთან ახლად გაიხსნა ბრინჯის საცეხვი და საკონდიტრო საამქროები. მიმდინარეობს სატრიკოტაჟო ფაბრიკისა და ლუდის ქარხნის რეკონსტრუქცია.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად კომბინატის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 800 ათასი მანეთის პროდუქცია.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

დიმის მტს-მა მიმდინარე წლის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. ბარშანდელთან შედარებით დამუშავებულია ბევრად მეტი მიწის ფართობი. ამჟამად მტს-ში გაცხოველებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი.

მტს-ის კოლექტივმა დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის შესრულებისათვის მზადებასთან დაკავშირებით ვალდებულება იკისრა 1949 წლის მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა შეასრულოს 21 დეკემბრისათვის, ამასთან გეგმის გადამეტებით შეკეთოს სამი ტრაქტორი, 2 კომბაინი, სამი სათესი.

ტრაქტორისტმა დავით ბარაჩაშვილმა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობა დადო თავისი ტრაქტორი რემონტიდან გამოუშვას 18 დეკემბერს და შეჯიბრებაში გამოიწვია ტრაქტორისტი ოთარ გიორგობიანი. ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სხვა ტრაქტორისტებმაც.

მტს-ში რემონტი მიმდინარეობს კვანძური მეთოდით. დიდი ყურადღება ექცევა შინარესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, დეტალების აღდგენას და დამზადებას, მუშაობის ვადებისა და ხარისხის დაცვას. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულია თელეთის მტს-ის კოლექტივი. დიმელები კისრულობენ, რომ ტრაქტორებისა და მანქანა-იარაღების რემონტს დაამთავრებენ 15 იანვრისათვის, ამასთან 5 პროცენტით შეამცირებენ რემონტის თვითღირებულებას.

ამ ვალდებულების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით მტს-ში ტრაქტორისტებისათვის მოწყობილია საერთო საცხოვრებელი, სასადილო, მოგვარებულია განათებისა და გათბობის საქმე, მუშაობს კლუბი, სადაც ტრაქტორისტებს შეუძლიათ თავისუფალ დროს წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები, მოისმინონ ლექციები და მოხსენებები.

Გ. ᲠᲝᲒᲐᲫᲘᲫᲔ
დიმის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში

ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საწარმოთა კოლექტივები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასი მილიონი ცალი პაპიროსი, 12 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და 5-ნახევარი პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

პაპიროსის კოლოფის დამამზადებელი საამქროს უფროსმა ამხ. ხუხუამ საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი ცალი კოლოფი, დაზოგოს ასი კილოგრამი ქაღალდი.

ფეხსაცმელკომბინატის კოლექტივი პირობას იძლევა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.200 წყვილი ფეხსაცმელი და გასწიოს 20 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია.

ქალაქის ყველა საწარმოში უმაგალითო შრომითი აღმავლობაა. დიდი თარიღისათვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან საწარმოები, საამქროები, ბრიგადები და სტახანოველები.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘ�გᲖᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲖᲔ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). 6 დეკემბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ ამხანაგ სტალინის 70 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოწვეულ მიტინგზე ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე სახელმწიფოს მისცეს 600 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება; მოხარატებიდან წლიური გეგმის გადამეტებით 21 დეკემბრამდე გამოუშვას 1 ელმავალი, ელმავლების კაპიტალური შეკეთების წლიური გეგმა შეასრულოს ამავე რიცხვისათვის, 4 ელმავალი მოამზადოს სანიმუშო ელმავლის სახელწოდების მისანიჭებელად, ელმავლების წევაზე მარტო დეკემბერში დაზოგოს 250 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ტვირთზიდვის თვითღირებულება შეამციროს 10 პროცენტით, ელმავლების ტექნიკური სიჩქარე გაზარდოს საათში 2 კილომეტრით.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲐᲯᲙᲘᲪᲔᲑᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). უმაგალითო პატრიოტულმა აღმავლობამ მოიცვა რაიონის მშრომელები. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შშრომელთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანებაა ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჯაბუა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის ჩამტარებელი კომიტეტის წევრია. კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს ყოველთვის წარმატებით ასრულებს.

კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, რომელიც ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადებას მეძღვნა, სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჯაბუამ.

— ჩვენი კოლმეურნეობა,—თქვა მან,— მზად არის განუხრელად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მითითებანი, ამხანაგ სტალინის დავალებანი.

ამხ. ჯაბუამ დეტალურად ასახა ადგილობრივ ხელისუფლებათა, კოლმეურნეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ურთიერთობა, ასახელა ის ადგილობრივ ხელისუფლებათა ხელმძღვანელ-ამხანაგთა სახელები, ვინც ეხმარებიან ჩვენ კოლმეურნეობას, ასახელა ის ადგილობრივ ხელისუფლებათა ხელმძღვანელ-ამხანაგთა სახელები, ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტი ფრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო*

კოსტოვს თავის ჩვენებაში მოყავს **კარდელის** საშუალებით მისთვის გადაცემული ტიტოს გეგმა და ამის შესახებ ამბობს:

„...**კარდელმა** განმიცხადა, რომ იუგოსლავიის მთავრობა აპირებს სთხოვოს სსრ კავშირს, რომ საბჭოთა ჯარებმა დატოვონ იუგოსლავია, როგორც კი მის ტერიტორიაზე დამთავრდება საომარი მოქმედება. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მითხრა **კარდელმა**, და საბჭოთა ჯარებმა უნდა დატოვონ ბულგარეთიც, ვინაიდან ინგლისელები და ამერიკელები უაღრესად არიან დაინტერესებული ამით, რომ არ დაუშვან საბჭოთა გავლენის დამყარება დუნაის სამხრეთით.

კარდელმა თქვა, რომ **ტიტოს** და იუგოსლავიის მთელ ხელმძღვანელობას ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ბულგარეთის შეერთება იუგოსლავიასთან და თავისი ინტერესებისათვის გამოყენება სამხრეთ სლავების ფედერაციის იდეისა, რომელიც ფართოდ პოპულარულია იუგოსლავიისა და ბულგარეთის ხალხებს შორის. მაშინ, ამბობსნა **კარდელმა**, ბულგარეთი აღარ ჩაითვლება მტრულ ქვეყნად, გადაიქცევა მოკავშირე სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად და საბჭოთა ჯარების ყოფნა მის ტერიტორიაზე ზედმეტი აღმოჩნდება და არაფრით არ იქნება გამართლებული...“

კარდელმა განაცხადა, **რომ იგი** გამოგზავნილია **კოსტოვთან**, **რათა** მოელაპარაკოს **ორივე ქვეყნისათვის** ამ მეტად საჭირო და სასწრაფო საკითხზე და მიიღოს მისი თანხმობა და ხელშეწყობის დაპირება.

კოსტოვი აჩვენებს:

„...**კარდელმა** ხაზგასმით აღნიშნა, **რომ** ახლა **ყველაზე** ხელსაყრელი მომენტია ფედერაციის იდეის განხორციელებისათვის, ვინაიდან ამის გამო მსოფლიოს ამისათვის ჯერ კიდევ არ სცალია და ბულგარეთის შეერთება იუგოსლავიასთან ფედერაციის სახით შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის. მხოლოდ საჭიროა სწრაფად და მტკიცედ მოქმედება, თქვა **კარდელმა**, **რათა** მსოფლიო დავაყენოთ მომხდარი ფაქტის წინაშე, **რომელსაც** ბოლოს და ბოლოს **იძულებული** იქნებიან **შეურიგდნენ**“.

მაგრამ **კოსტოვმა** ერთგვარი ეჭვი **გამოთქვა** და განაცხადა, რომ მოკავშირეებმა შეიძლება გაილაშქრონ **ტიტოს** გეგმის წინააღმდეგ და, ალბათ, კიდევაც აპირებენ **ამას**, თუ მათი პრესის მიხედვით ვიმსჯელებთო. **კარდელმა** დამშვიდა **კოსტოვი** იმით, რომ უთხრა, იუგოსლავების გეგმა რეალურ ნიადაგზეა აგებული.

„...ინგლისელებმა და **ამერიკელებმა**, თქვა მან, გარკვეულად აღუთქვეს **ტიტოს**, **რომ** ხელს **არ** შეუშლიან ბულგარეთის შეერთებას იუგოსლავიასთან. **კარდელის** სიტყვით, მათ გაფრთხილეს **ტიტო**, **რომ** ფორმალურ პროტესტს განაცხადებენ და თავიანთ პრესაში მათთვის ჩვეულ ხმაურს ატეხენ, **რათა** ფედერაციის **შექმნა**, თავიანთი ჩვეულებისამებრ, სსრ კავშირს დააბრალონ და გამოიყენონ ეს როგორც საბაბი იმისათვის, **რომ** უარი თქვნ თავიანთ ზოგიერთ ვალდებულებაზე **სსრ** კავშირის მიმართ. **მაგრამ**, **საბოლოო** ანგარიშით, თქვა **კარდელმა**, ინგლისელები და **ამერიკელები** შეურიგდებიან ფედერაციას, **როგორც** მოხდარ ფაქტს.

კარდელმა ხაზგასმით აღნიშნა, **რომ** მოკავშირეებთან ურთიერთობის **გართულების** სწორედ თავიდან **ასაცილებლად** **სსრ** **კავშირი** შეიძლება წადგეს ომიდან, გადაიქცევა მოკავშირე **ინგლისთან**, **ამერიკასთან**, **ამ** **ომის** **დამთავრებამდე**. **მაგრამ**, **განაცხადა** **კარდელმა**, **ჩვენ** **მხედველობაში** **გვიქნება**, **უწინარეს** **ყოვლისა**, **ჩვენი** **საკუთარი** **ინტერესები** **და** **არა** **სსრ** **კავშირის** **ინტერესები**. **მომხდარი** **ფაქტის** **წინაშე** **რომ** **აღმოჩნდება**, **სსრ** **კავშირიც** **იძულებული** **გახდება** **შეურიგდეს** **ამას**...“

კარდელმა **კოსტოვთან** **ლაპარაკში** **მოიყვანა** **კიდევ** **ერთი** **არგუმენტი** **იმის** **სასარგებლოდ**, **რომ** **უნდა** **დაჩქარდეს** **ბულგარეთის** **შეერთება** **იუგოსლავიასთან**.

„...**კარდელმა** ხაზგასმით აღნიშნა, **რომ** **იუგოსლავიასთან** **ბულგარეთის** **შეერთება** **საჭიროა** **დაჩქარდეს** **სხვა** **მოსაზრებებთაც**, **სანამ** **გიორგი** **დიმიტროვი** **ჯერ** **კიდევ** **არ** **დაბრუნებულა** **ბულგარეთში**, **ვინაიდან** **მისი** **დაბრუნება** **დამატებითს** **სიძნელეებს** **შეგვიქმნის**. **დიმიტროვი**, **რა** **თქმა** **უნდა**, **გადაჭრით** **წინააღმდეგი** **იქნება** **ერთიანი** **სახელმწიფოს** **შემოღნიშნული** **საგარეო-პოლიტიკური** **ორიენტაციისა**. **გარდა** **ამისა**, **ხაზგასმით** **აღნიშნა** **კარდელმა**, **იუგოსლავები** **უთუოდ** **იმის** **მომხრე** **არიან**, **რომ** **გაერთიანებულ** **სახელმწიფოში** **ტიტო** **იყოს** **როგორც** **პოლიტიკური**, **ისე** **სამხედრო** **ხელმძღვანელი**, **ითვლებოდეს** **ეროვნულ** **გმირად**, **რომელიც** **პოპულარობით** **სარგებლობს** **ბულგარეთშიც**. **უმჯობესი** **იქნება**, **დასძინა** **კარდელმა**, **თუ** **დიმიტროვი** **მოსკოვში** **დარჩება**.

სინდისქვეშ **უნდა** **ვთქვა**, **რომ** **პირადად** **მეც** **საწინააღმდეგო** **არა** **მქონდა** **რა** **იმ** **პერსპექტივისა**, **რომ** **დიმიტროვი** **ბულგარეთში** **არ** **დაბრუნებულიყო**, **რაც** **ხელსაყრელი** **და** **სასურველი** **იყო** **არა** **მარტო** **ტიტოსათვის**, **არამედ** **ჩემთვისაც**. **მე** **მაინც** **ვკითხე** **კარდელს**, **პრაქტიკულად** **როგორ** **აქვთ** **წარმოდგენილი** **ტიტოს** **და** **იუგოსლავიის** **ხელმძღვანელებს** **ბულგარეთსა** **და** **იუგოსლავიას** **შორის** **ფედერაციის** **განხორციელება**-**მეთქი**.

კარდელმა **მიპასუხა**, **რომ** **ტიტოს** **და** **იუგოსლავიის** **დანარჩენ** **ხელმძღვანელთა** **აზრით** **ბულგარეთი** **უნდა** **შეუერთდეს** **იუგოსლავიის** **ფედერაციულ** **სახალხო** **რესპუბლიკას** **როგორც** **მისი** **მეშვიდე** **რესპუბლიკა**. **ბულგარეთის** **არმია**, **განაგრძო** **კარდელმა**, **ტიტოს** **უმაღლეს** **სარდლობაში** **გადავა**.

როგორც **კარდელმა** **ტიტოს** **გეგმა** **ამიხსნა**, **მიუხედავ**, **რომ** **იუგოსლავები**, **რომლებიც** **ამჯერად** **ფედერაციის** **შექმნის** **საქმეს** **იწყებენ**, **ვარაუდობენ** **მხოლოდ** **შთანთქან** **ბულგარეთი**, **ჩააყენონ** **იგი** **იუგოსლავიისაგან** **სრული** **დამოკიდებულების** **მდგომარეობაში**, **რათა** **ამრიგად** **უფრო** **ადვილად** **მოსწყვიტონ** **ბულგარეთი** **იუგოსლავიასთან** **ერთად** **სსრ** **კავშირს** **და** **შეუერთონ** **დასავლეთ** **სახელმწიფოების** **ბლოკს**...“

კარდელთან **ლაპარაკიდან** **კოსტოვისათვის** **ნათელი** **გახდა**, **რომ** **ახალი** **სახელმწიფოს** **აპარატის** **ხელმძღვანელობა** **თითქმის** **მთლიანად** **იუგოსლავების** **ხელში** **დარჩება**, **და** **ისინი** **ყველაფრის** **განმკარგულებლები** **იქნებიან**.

კოსტოვი **აჩვენებს**:

„...**როცა** **ამაზე** **კარდელს** **ყურადღება** **მივაპყრობინე**, **მან** **მიპასუხა**, **რომ** **ფედერაციის** **ხელმძღვანელობაში** **ასეთი** **თანფარდობა** **მიღებულ** **უნდა** **იქნას** **როგორც** **ბუნებრივი** **მოვლენა**, **ვინაიდან** **იუგოსლავია** **მნიშვნელოვნად** **დიდი** **ქვეყანაა**, **სერიოზული** **დამსახურება** **აქვს** **ომში**, **სამეურნეო** **განვითარების** **მხრივ** **გაუსწრო** **ბულგარეთს**, **ხოლო** **პარტიისა** **და** **მთავრობის** **სათავეში** **დგანან** **ადამიანები**, **რომლებსაც** **ნათელი** **და** **ფხიზელი** **საგარეო** **პოლიტიკა** **აქვთ** **და** **საკმაოდ** **ძლიერნი** **არიან** **იმისათვის**, **რომ** **უზრუნველყონ** **თავიანთი** **პოლიტიკის** **განხორციელება**, **რომლის** **მიზანია** **ეკონომიური** **სარფის** **მიღება** **დასავლეთ** **სახელმწიფოებთან** **დაახლოებით**.

დასასრულ **კარდელმა** **მთხოვა** **გამეკეთებინა** **ყველაფერი**, **რაც** **კი** **შესაძლებელი** **იყო**, **რომ** **დამერწმუნებინა** **ბულგარეთის** **პარტიის** **ხელმძღვანელობა** **დათანხმებოდა** **იუგოსლავიის** **წინადადებას** **და** **ამის** **შესახებ** **არაფერი** **ეცნობებინა** **სსრ** **კავშირისათვის**...“

კოსტოვმა **დაარწმუნა** **კარდელი**, **რომ** **იღებს** **ტიტოს** **წინადადებას** **და** **შეასრულებს** **მის** **რჩევას**.

შემდგომი **მოსამზადებელი** **მოქმედების** **გეგმის** **შესახებ** **რომ** **შეთანხმდნენ**, **კარდელმა**, **კოსტოვის** **ჩვენებით**, **განაცხადა**, **რომ** **ამიერიდან** **იგი** **კოსტოვს** **განიხილავს** **როგორც** **ტიტოს** **და** **ახალი** **იუგოსლავიის** **მოკავშირეს** **მათი** **საერთო** **მიზნების** **განხორციელებაში**.

„... **კარდელმა** ხაზგასმით აღნიშნა, **რომ** **ერთი** **მხრივ** **ჩემსა** **და** **მეორე** **მხრივ** **ტიტოსა** **და** **მის** **უახლოეს** **თანამშრომლებს** **შორის** **დამყარდებოდა** **სპეციალური** **კავშირი**, **გარდა** **ოფიციალური** **კავშირისა**, **რომელიც** **ბულგარეთის** **და** **იუგოსლავიის** **კომპარტიების** **ხელმძღვანელობას** **შორის** **არსებობდა**...“

კოსტოვმა, **კარდელთან** **შეთანხმების** **საფუძველზე**, **მოახსენა** **ბულგარეთის** **კომპარტიის** **ხელმძღვანელობას**, **რომელსაც** **იგი** **1944** **წელს** **სათავეში** **ედგა**, **რომ** **ჩამოვდა** **კარდელი** **და** **დააყენა** **საკითხი** **ბულგარეთსა** **და** **იუგოსლავიის** **შორის** **ფედერაციის** **განხორციელების** **შესახებ**, **ამასთან** **პირობა** **დადო**, **რომ** **უახლოეს** **დღეებში** **გამოგზავნის** **იუგოსლავიის** **მთავრობის** **წარმომადგენელს** **ამ** **საკითხზე**.

მაგრამ **ფარული** **აზრი** **კარდელთან** **შეთანხმებისა**, **რომელიც** **სსრ** **კავშირის** **წინააღმდეგ** **იყო** **მიმართული**, **კოსტოვმა**, **როგორც** **მათ** **შორის** **დათქმული** **იყო**, **დაუმალა** **ბულგარეთის** **კომუნისტური** **პარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **პოლიტბიუროს**.

რამდენიმე **დღის** **შემდეგ** **ბელგრადიდან** **მოვიდა** **იუგოსლავიის** **წინადადება**, **და** **კოსტოვმა** **იგი** **განსახილველად** **წარუდგინა** **ცენტრალური** **კომიტეტის** **პოლიტბიუროს**.

ამის **შესახებ** **კოსტოვი** **აჩვენებს**:

„...**ამ** **საკითხის** **განხილვის** **წინ** **წარმოიუდგა** **პირად** **ლაპარაკში** **მე** **ხაზგასმით** **აღვნიშნავდი**, **რომ** **ტიტო** **და** **იუგოსლავები** **მოითხოვენ** **ვიმოქმედოთ** **სწრაფად**, **დიდი** **ხნით** **არ** **გადავდოთ** **გადაწყვეტილების** **მიღება**, **თუ** **გვინდა**, **რომ** **ფედერაცია** **განხორციელდეს**, **წინააღმდეგ** **შემთხვევაში** **ინგლისელები** **და** **ამერიკელები** **რამეს** **მიხვდებიან** **და** **მთელ** **საქმეს** **ხელს** **შეუშლიან**. **ამასთან** **მე**, **რა** **თქმა** **უნდა**, **დავფარე**, **რომ** **ტიტოს** **და** **ჩემ** **მიერ** **დაწყებული** **კამპანია**, **როგორც** **მე** **და** **კარდელი** **შევთანხმდით**, **სსრ** **კავშირის** **წინააღმდეგ** **იყო** **მიმართული**.

პარტიის **ხელმძღვანელობა** **მიდრეკილებას** **იჩენდა** **მიეღო** **იუგოსლავიის** **წინადადება**, **მაგრამ** **მაინც** **მოითხოვდა**, **რომ** **ეს** **წინადადება** **გვეცნობებინა** **დიმიტროვისათვის**, **როგორც** **ბულგარეთის** **კომუნისტური** **პარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **პოლიტბიუროს** **წევრისათვის**, **და** **გვეკითხა** **მისი** **აზრი**. **სწორედ** **ამან** **დაღუბა** **ტიტოს** **მიერ** **განზრახული** **გეგმის** **განხორციელება**.

როგორც **კოსტოვი** **აჩვენებს**, **ტიტოს** **თავდაპირველმა** **გეგმამ** **მარცხი** **განიცადა** **იმის** **გამო**, **რომ** **მოსკოვიდან** **ამხანაგ** **დიმიტროვისაგან** **მიღებულ** **იქნა** **კატეგორიული** **გაფრთხილება**—**არ** **დაგვეჩქარებინა** **ბულგარეთის** **შეერთება** **იუგოსლავიასთან**.

კოსტოვმა **გამოძიებისას** **დაადასტურა** **ეს** **გარემრება** **და** **აჩვენა**:

„...**ფედერაციის** **განხორციელებას**, **იფრთხილებდა** **ცენტრალური** **კომიტეტის** **პოლიტბიუროს** **დიმიტროვი**, **სანამ** **წინასწარ** **არ** **მომხდარა** **საგარეო-პოლიტიკური** **მომზადება**, **შეიძლება** **არასასურველი** **შედეგი** **ჰქონდეს** **განსაკუთრებით** **ბულგარეთისათვის**, **თუ** **გავითვალისწინებთ** **მის** **მდგომარეობას**, **როგორც** **დამარცხებული** **ქვეყნისას**. **ამრიგად**, **ტიტოს** **გეგმამ**, **რომელიც** **ნავარაუდევი** **იყო** **იუგოსლავიასთან** **ბულგარეთის** **დაუყოვნებელივ** **შეერთებას** **შესაერთებლად** **ჯერ** **კიდევ** **მეორე** **მსოფლიო** **ომის** **დამთავრებამდე**, **1944** **წელს** **მარცხი** **განიცადა** **არა** **ჩვენი** **მიზეზით**...“.

კოსტოვს **მალე** **შესაძლებლობა** **მიეცა** **საიმედო** **წყაროდან** **შეეგროვებინა**, **რომ** **ტიტოს** **ვერაგული** **ზრახვები**, **რომელიც** **ხელყოფდა** **ბულგარეთის** **სახელმწიფოს** **ეროვნულ** **დამოუკიდებლობასა** **და** **სუვერენიტეტს**, **შეთანხმებული** **იყო** **ინგლისისა** **და** **ამერიკის** **იმპერიალისტურ** **მმართველ** **წრეებთან** **და** **მათ** **მიერ** **იყო** **ნაკარნახევი**.

ახალი **1945** **წლის** **გამო** **გამართულ** **დარბაზობაზე**, **რომელიც** **შედგა** **სასტუმრო** „**ბოლგარიაში**“ **ბულგარეთთან** **დაზავების** **სამოკავშირეო** **საკონტროლო** **კომისიასთან** **არსებული** **სამხედრო** **მისიების** **მონაწილეობით**, **კოსტოვს** **მორიგი** **შეხვედრა** **ჰქონდა** **ინგლისელ** **პოლკოვნიკ** **ბეილისთან**.

კოსტოვმა **გადაწყვიტა** **შეკითხებოდა** **თავის** **ინგლისელ** **შეფებს**—**როგორ** **უყურებენ** **ისინი** **ტიტოს** **გეგმას**, **ეს** **გეგმა** **მართლაც** **შეესაბამება** **თუ** **არა** **ინგლისისა** **და** **ამერიკის** **ინტერესებს** **ბალკანეთში**.

კოსტოვი **ამის** **შესახებ** **აჩვენებს**:

„...**მე** **ვისარგებლე** **მოხერხებული** **შემთხვევით**, **რათა** **ბეილისთან** **შემემოწმებინა**—**სწორი** **იყო** **თუ** **არა**, **რაც** **კარდელმა** **მითხრა**, **და** **ინგლისელს** **ვუთხარი** **კარდელთან** **შეხვედრისა** **და** **მისი** **რჩევის** **შესახებ**.

ბეილმ **მიპასუხა**, **მე** **ვიცოდი**, **რომ** **იუგოსლავია** **ასეთ** **წინადადებას** **გამოგიგზავნიდათო**, **და** **ამიხსნა**, **რომ** **ეს** **საქმე** **უცხო** **არ** **არის** **არც** **ინგლისელებისათვის**, **არც** **ამერიკელებისათვის**. **ბეილმ** **მითხრა**, **რომ** **მის** **მიერ** **მითითებული** **ამოცანები** **სრულებით** **არ** **ეწინააღმდეგებიან** **რჩევას**, **რომელიც** **კარდელმა** **მომცა** **ფედერაციის** **განხორციელების** **შესახებ**, **ვინაიდან** **ეს** **ამოცანებიც** **და** **ეს** **რჩევაც** **ერთსა** **და** **იმავე** **მიზანს** **ისახავენ**: **მოსწყვიტონ** **ბულგარეთი** **და** **იუგოსლავია** **სსრ** **კავშირს**.

ბეილმ **შემდეგ** **განმიცხადა**, **რომ** **საწინააღმდეგო** **არაფერი** **აქვს**, **თუ** **მე** **ინგლისის** **ხაზით** **მუშაობის** **პარალელურად** **სათანადო** **მუშაობას** **გაკეთებ** **იუგოსლავიის** **ხაზითაც**“.

ამის **გათვალისწინებით**, **რომ** **ინგლისის** **დაზვერვის** **სამსახურს** **საქმე** **ჰქონდა** **არა** **უბრალო** **აგენტ-ინფორმატორთან**, **არამედ** **ისეთ** **პირთან**, **რომელიც** **მოტყუებით** **მაღალ** **პოსტზე** **აღმოჩნდა** **ბულგარეთის** **მმართველ** **პარტიაში**, **ბეილმ** **კოსტოვს** **გაუმეღვანა**, **თუ** **რაში** **მდგომარეობდა** **ამერიკისა** **და** **ინგლისის** **იმპერიალისტური** **წრეების** **საიდუმლო** **შეთანხმება** **ტიტოსთან** **ჯერ** **კიდევ** **მეორე** **მსოფლიო** **ომის** **მსვლელობაში**.

კოსტოვი **აჩვენებს**:

„...**ბეილმ** **მითხრა**, **რომ** **ჯერ** **კიდევ** **ომის** **დროს** **ტიტოსა** **და** **ინგლისელებს** **შორის**, **ამერიკელთა** **თანხმობით**, **მიღწეულ** **იქნა** **შეთანხმება** **იმ** **პოლიტიკის** **შესახებ**, **რომელსაც** **იუგოსლავია** **ომის** **შემდეგ** **გაატარებდა**. **ტიტომ** **ვალდებულება** **იკისრა** **ჩამოშორებინა** **იუგოსლავია** **სსრ** **კავშირისა** **და** **მისი** **მეგობრებისაგან** **აღმოსავლეთ** **და** **სამხრეთ-აღმოსავლეთ** **ევროპაში** **და** **გაეტარებინა** **პოლიტიკა**, **რომელიც** **ანგარიშს** **გაუწევდა** **ინგლის-ამერიკის** **ბლოკის** **განსაკუთრებულ** **პოლიტიკურ** **და** **სტრატეგიულ** **ინტერესებს** **ბალკანეთში**. **სამაგიეროდ**, **განაცხადა** **ბეილმ**, **ტიტომ** **ინგლისელთა** **და** **ამერიკელთა** **უხვი** **დახმარება** **მიიღო** **ომის** **დროს** **და** **ასეთსავე** **დახმარებას** **მომავალშიც** **მიიღებს**.

ბეილმ **ხაზგასმით** **აღნიშნა**, **რომ** **იუგოსლავიას** **უკვე** **ეწევა** **დიდი** **რეალური** **დახმარება** **ომისაგან** **დაზარალებული** **ქვეყნების** **დამხმარე** **საერთაშორისო** **ორგანიზაციის** (**ინრრა**) **ხაზით**, **და** **ეს** **დახმარება** **კიდევ** **უფრო** **გაიზრდება** **ომის** **შემდეგ**.—**თქვენც** **ბულგარეთში**, **დაასკვნა** **ბეილმ**, **ფხიზლად** **უნდა** **შეიფასოთ** **შექმნილი** **ვითარება** **და** **მიბაძოთ** **იუგოსლავიის** **მაგალითს**. **მაშინ** **ორივე** **ქვეყანას** **შეეძლება** **იცხოვროს** **მომავალში** **როგორც** **ერთიანმა** **სახელმწიფომ**, **რომელიც** **საკმაოდ** **ძლიერი** **იქნება** **იმისათვის**, **რომ** **წინააღმდეგობა** **გაუწიოს** **სსრ** **კავშირის** **ზეგავლენას**...“

1945 **წლის** **მარტში** **კოსტოვი** **შეხვდა** **იუგოსლავიის** **ხელმძღვანელობის** **მეორე** **წევრს** **მილოვან** **ჯილასს**, **რომელიც** **სოფიაში** **სრულიად** **სლავთა** **ყრილობაზე** **ჩამოვიდა**.

კოსტოვი **ამ** **შეხვედრის** **შესახებ** **აჩვენებს**:

„...**იგი** **ჩამოვიდა** **როგორც** **სრულიად** **სლავთა** **ყრილობის** **დელეგატი** **და** **სპეციალური** **მისია** **ჰქონდა** **შემხვედროდა** **მე**.

ჯილასი **მივიღე** **ნასადილევს** **ჩემს** **სასამსახურო** **კაბინეტში** **პარტიის** **ცენტრალურ** **კომიტეტში**. **საუბარი** **დაახლოებით** **საათნახევარს** **გრძელდებოდა**.

ჯილასმა **ჯერ** **გადმომცა** **ტიტოს** **და** **კარდელის** **სალამი**. **მათი** **სახელით** **მან** **მწუხარება** **გამოთქვა**, **რომ** **ჯერჯერობით** **ვერ** **მოხერხდა** **იუგოსლავიასთან** **ბულგარეთის** **დაუყოვნებლივ** **შეერთების** **განხორციელება**, **და** **მისაყვედურა**, **რომ** **ვერ** **შეეძლი** **ამ** **მიზნის** **მიღწევის** **უზრუნველყოფა**.

მე **გადავეცი** **ჯილასს** **ამბების** **ვითარება** **პოლიტბიუროში** **და** **ავუხსენი**, **რომ** **დიმიტროვის** **ჩარევამ**, **რის** **თავიდან** **აცილებაც** **არ** **მოხერხდა** **იმის** **გამო**, **რომ** **პოლიტბიუროო** **კატეგორიულად** **მოითხოვდა** **მისი** **აზრის** **გაგებას**, **ჩაშალა** **მთელი** **საქმე**.

ჯილასმა **განმიცხადა**, **რომ**, **პოლიტბიუროს** **გადაწყვეტილების** **მიუხედავად**, **ეს** **საკითხი** **არ** **უნდა** **დამეყენებინა** **დიმიტროვის** **წინაშე** **ან**, **ყოველ** **შემთხვევაში**, **სინამდვილის** **საწინააღმდეგოდ**. **უნდა** **მეცნობებინა** **პოლიტბიუროსათვის**, **რომ** **დიმიტროვმა** **დადებითი** **პასუხი** **მოგვცა**, **ამ** **საფუძველზე** **მიგვეღო** **გადაწყვეტილება** **და** **სახელდახელოდ** **გამოგვეცხადებინა** **ფედერაცია**. **მიზანი** **ამართლებს** **საშუალებებს**, **მითხრა** **ჯილასმა**. **მე** **ვუპასუხე**, **ასეთი** **რამ** **ვერ** **გავბედე-მეთქი**.

ჯილასმა **შემდეგ** **განმიცხადა**, **ჩვენი** **საერთო** **მიზნი**, **მიუხედავად** **პირველი** **მარცხისა**, **დღის** **წესრიგიდან** **მოხსნილი** **არ** **იქნება**, **მასთვის** **უნდა** **ვიმუშაოთ**, **და** **იგი** **პირველ** **მოხერხებულ** **შემთხვევისთანავე** **განხორციელდებაო**...“

შემდეგ **ჯილასმა** **ჩამოაყალიბა** **ტიტოს** **გეგმა** **კოსტოვთან** **ერთად** **მუშაობისა** **ახალი** **ვითარების** **შესაბამისად**.

„...**ეს** **გეგმა**, **როგორც** **ჯილასმა** **გადმომცა**, **მდგომარეობდა** **იმაში**, **რომ** **იუგოსლავია** **და** **ბულგარეთი** **თანდათანობით** **ჩამოგვეშორებინა** **სსრ** **კავშირისაგან**, **კვლავ** **გაგვეწია** **სპეკულაცია** **ფედერაციის** **იდეით**, **რომელიც** **პოპულარული** **იყო** **ამ** **ქვეყნების** **ხალხთა** **შორის**, **მაგრამ** **იმ** **ვარაუდით**, **რომ** **საგარეო-პოლიტიკური** **ორიენტაცია** **დასავლეთისაკენ** **გვქონოდა**.

ამისათვის, **განმიმარტა** **ჯილასმა**, **საჭიროა** **ხალხის** **მასებში** **ფართო** **პროპაგანდა** **იუგოსლავიასთან** **შეერთებისა** **ფედერაციის** **საშუალებით** **და** **იმის** **მტკიცება**, **რომ** **პატარა** **და** **ღარიბი** **ბულგარეთისათვის** **არ** **არსებობს** **არავითარი** **მომავალი** **სამხრეთ** **სლავების** **ფედერაციის** **გარეშე**.

საჭიროა **აგრეთვე**, **განაგრძო** **ჯილასმა**, **ახალი** **იუგოსლავიის** **პოპულარიზაცია** **და** **ამის** **ხაზგასმით** **აღნიშვნა**, **რომ** **მან** **მნიშვნელოვნად** **გაუსწრო** **ბულგარეთს** **თავისი** **პოლიტიკური** **და** **სოციალური** **წყობილებით**. **ჯილასმა** **მირჩია** **ყურადღება** **მიგვექცია** **ტიტოს**, **როგორც** **ფაშიზმისადმი** **წინააღმდეგობის** **ერთ-ერთი** **მგრძის**, **პოპულარიზაციისათვის** **და** **დაგვეპირდაპირებინა** **იგი** **დიმიტროვისათვის**.

ჯილასმა **მირჩია** **იუგოსლავიის** **გამოცდილება** **გადაგვეტანა** **ბულგარეთის** **ნიადაგზე**, **აგრეთვე** **გაგვეტარებინა** **ბულგარეთისა** **და** **იუგოსლავიის** **არმიების** **სტრუქტურის**, **გაწვრთნისა** **და** **დოქტრინის** **უნიფიკაცია** **იმის** **გათვალისწინებით**, **რომ** **ახლო** **მომავალში** **ისინი** **შეადგენენ** **ერთიან** **არმიას** **ერთიან** **სახელმწიფოში**. **ამისათვის**, **თქვა** **ჯილასმა**, **ჭთხოვთ** **უზრუნველყოთ** **სრული** **ხელშეწყობა** **იუგოსლავიის** **სამხედრო** **ატაშესათვის** **სოფიაში**, **აგრეთვე** **მჭიდრო** **კავშირი** **და** **თანამშრომლობა** **დაამყაროთ** **ორივე** **ქვეყნის** **შინაგან** **საქმეთა** **სამინისტროების** **ორგანოებს** **შორის**.

ჯილასმა **ყურადღება** **მიმაპყრობინა** **თვით** **პარტიის** **შიგნით** **სერიოზული** **მუშაობის** **საჭიროებაზე**. **მან** **ხაზგასმით** **აღნიშნა**, **რომ** **საჭიროა** **შეეუდგეთ** **ჩვენი** **მომხრეების** **წრის** **შექმნისა** **და** **გაფართოებას**. **ეს** **ადამიანები**, **თქვა** **ჯილასმა**, **უნდა** **დავაწინაურთ** **ხელმძღვანელ** **პოსტებზე** **სახელმწიფო** **და** **პარტიულ** **აპარატებში**, **რათა** **მათ** **შემდეგში** **შეეძლოთ** **თავიანთი** **გავლენა** **მოახდინონ** **ჩვენთვის** **საჭირო** **მიმართულებით**.

ჯილასის **აზრით**, **პირველ** **პლანზე** **ჯერჯერობით** **უნდა** **დაგვეყენებინა** **ამოცანა** **პირონის** **მხარის** **დაუყოვნებლივი** **შეერთებისა** **მაკედონიის** **რესპუბლიკასთან**, **ვითმძლა** **მაკედონიის** **ეროვნული** **საკითხის** **სრულად** **და** **მთლიანად** **გადაწყვეტისათვის**.

ჯილასმა **მაცნობა**, **რომ** **ამ** **ხაზით** **სპეციალური** **მუშაობისათვის**, **გარდა** **მაკედონიის** **სახალხო** **რესპუბლიკის** **ოფიციალური** **წარმომადგენლების** **კოლიშევსკისა** **და** **ვლახოვისა**, **გამოყოფილი** **არიან** **იუგოსლავიის** **სოფიის** **საელჩოს** **მოსამსახურეები** **მანგოვსკი** **და** **ზაფიროვსკი**. **ჯილასმა** **მთხოვა** **საჭირო** **დახმარება** **გამეწია** **ამ** **პირებისათვის**...“

კოსტოვმა, **რომელიც** **1943-1944** **წლებში** **პატიმრობის** **მოსახდელად** **პლევენის** **საპყრობილეში** **იჯდა** **კომპარტიის** **არალეგალური** **ცენტრალური** **კომიტეტის** **საქმის** **გამო** **მსჯავრდადებულ** **ნიკოლა** **პავლოვთან** **ერთად**, **როცა** **გეშევისაგან** **შეიტყო**, **გამოძიებაზე** **პავლოვმაც** **კაპიტულაცია** **მოახდინა** **და** **პოლიციასთან** **თანამშრომლობის** **დეკლარაციას** **მოაწერა** **ხელი**, **ამ** **უკანასკნელთან** **ჯერ** **კიდევ** **მაშინ** **დაამყარა** **კავშირი**, **რომელიც** **1944** **წლის** **9** **სექტემბრის** **შემდეგაც** **გრძელდებოდა**.

კოსტოვმა, **რომლის** **პირველი** **თანაშემწეც** **მტრულ** **საქმიანობაში** **პავლოვი** **იყო**, **დაიწინაურა** **იგი** **სამუშაოდ** **ბულგარეთის** **კომუნისტური** **პარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **აპარატში**, **ცენტრალური** **კომიტეტის** **პოლიტბიუროს** **ადმინისტრაციულ** **მდივნად**, **ხოლო** **შემდეგში** **აცნობა** **მას** **კარდელთან** **თავისი** **საიდუმლო** **მოლაპარაკებაც**. **ბრალდებულმა** **პავლოვმა** **დაადასტურა** **ეს** **გარემოება** **და** **აჩვენა**:

„...**კოსტოვმა** **გამაცნო** **თავისი** **სხვა** **პოლიტიკური** **კავშირურთიერთობაც**. **ჯერ** **კიდევ** **1944** **წლის** **დამლევს** **იგი** **შეხვდა** **კარდელს**. **როცა** **კარდელი** **ბელგრადიდან** **სოფლეს** **მიდიოდა** **სოფიაზე** **გავლით**, **რადგან** **სოფლესაკენ** **მიმავალი** **პირდაპირი** **გზა** **ჯერ** **კიდევ** **ბლოკირებული** **იყო** **გერმანელების** **მიერ**, **იგი** **სოფიაში** **გაჩერდა** **და** **კოსტოვი** **ინახულა**.

კოსტოვის **განცხადებით**, **კარდელმა** **მას** **გადასცა** **ტიტოს** **რჩევა** **ემოქმედნა** **ისე**, **რომ** **მიეღწია** **ბულგარეთში** **საბჭოთა** **გავლენის** **შემცირებისათვის** **და** **აეღო** **გეზი** **ბალკანეთის** **ძლიერი** **და** **დიდი** **ხნის** **ნანატრი** **ფედერაციის** **შექმნისაკენ**, **რომელსაც** **შეეძლებოდა** **წინააღდგომოდა** **სსრ** **კავშირს** **და** **განეზორციელებინა** **თავისი** **დამოუკიდებელი** **პოლიტიკა**, **რაც** **მიმართული** **იქნებოდა** **ამერიკელებთან** **და** **ინგლისელებთან** **დაახლოებისაკენ**, **იმ** **ვარაუდით**, **რომ** **ისინი** **უფრო** **ეფექტიან** **ეკონომიურ** **დახმარებას** **გაუწევდნენ** **ორივე** **ქვეყანას**, **მით** **უმეტეს**, **თუ** **იარსებებდა** **ფედერაცია** **ტიტოს** **მეთაურობით**...“

კარდელთან **და** **ჯილასთან** **თავისი** **მოლაპარაკება** **კოსტოვმა** **აცნობა** **აგრეთვე** **თავის** **მეორე** **თანაშემწეს** **მტრული** **საქმიანობის** **ხაზით** **სახელმწიფო** **აპარატში**, **ინგლისის** **აგენტს** **ივანე** **სტეფანოვს**, **რომელთანაც** **მან** **დანაშაულებრივი** **კავშირი** **დაამყარა** **1944** **წლის** **9** **სექტემბრის** **შემდეგვე**.

ბრალდებულმა **სტეფანოვმა** **დაადასტურა** **ეს** **გარემოება** **და** **აჩვენა** **შემდეგი**:

„...**კოსტოვმა** **გამაცნო** **თავისი** **1944** **წლის** **დამლევის** **მოლაპარაკება** **სოფიაში** **ჩამოსულ** **კარდელთან** **და** **1945** **წლის** **დამდეგის** **მოლაპარაკება** **ჯილასთან**, **რომელიც** **სრულიად** **სლავთა** **ყრილობაზე** **ჩამოვიდა** **როგორც** **იუგოსლავიის** **დელეგატი**.

როგორც **კოსტოვმა** **განმიცხადა**, **იგი** **შეუთანხმდა** **იუგოსლავიის** **ხელმძღვანელებს**, **რომ** **მხარს** **დაუჭერდა** **მათს** **წინადადებას** **ფედერაციის** **დაუყოვნებლივ** **შექმნის** **შესახებ**, **რომელშიც** **ბ

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტი ზრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო

(გაგრძელება)

ამით დამთავრდა **კოსტოვის** ევქსინოგრადის შეხვედრები და მოლაპარაკება **ტიტოსთან** და **რანკოვიჩთან.**

ტიტომ შეასრულა **კოსტოვის** მიერ ბელგრადში მათი მოლაპარაკების დროს გამოთქმული თხოვნა. 1947 წლის დამლევს მოხდა **კოსტოვისა** და ბულგარეთში ამერიკის ელჩად ახლად დანიშნული დონალდ **რიიდ ჰიიტის** შეხვედრა.

ამ შეხვედრის შესახებ **კოსტოვი** აჩვენებს:

„...**რიიდ ჰიიტი** თავდაპირველად ოფიციალურად გამეცნო როგორც პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს.

პირველი ვიზიტის დროს **რიიდ ჰიიტმა** სურვილი გამოთქვა, რომ კვლავ შემხვედროდა ახლო მომავალში, ვინაიდან საჭირო იყო განვეხილა ორივესთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხი. მე დავეთანხმე.

რამდენიმე დღის შემდეგ **რიიდ ჰიიტმა** მთხოვა მომეღო იგი. მნღება მოხდა ჩემს სამსახურებრივ კაბინეტში მინისტრთა საბჭოში.

სოფიის შესახებ შთაბეჭდილებებზე მოკლე საუბრის შემდეგ (საუბარი ფრანგულ ენაზე წარმოიცდა) **რიიდ ჰიიტმა** მითხრა, რომ იცის ჩემი მეგობრული პირადი დამოკიდებულება იუგოსლავებთან, რაც უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში დამყარდა, და რომ ეს ფრიად ახარებს მას. მან იმედი გამოთქვა, რომ მე კეთილის მსურველი ვიქნებოდი ამერიკელებისთვისაც.

ნათქვამიდან მივბედი, რომ **რიიდ ჰიიტი** ჩემთან გამოცხადდა იმ შეთანხმების შედეგად, რასაც მივაღწიე **ტიტოსთან,** რომელიც დამპირდა, რომ ხელს შემოწყობდა ამერიკელებთან კავშირის დამყარებაში.

ამერიკელს ვუპასუხე, რომ თანახმა ვარ შევასრულო მისი სურვილი. მაშინ **რიიდ ჰიიტმა** განაცხადა, რომ არ დამტვირთავს ზედმეტი სიძნელეებით და არ მოითხოვს ჩემთან ცალკე კავშირს. ის, რის შეტყობინებასაც თქვენთვის ამერიკელები მოისურვებენ, მითხრა **რიიდ ჰიიტმა,** წინასწარ შეთანხმებული იქნება იუგოსლავებთან და მათი მეშვეობით გადმოგეცემათო. **რიიდ ჰიიტმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის რჩება, რასაც **ტიტოსა** და **მისი** უახლოესი თანამშრომლებისაგან მივიღებდი, უნდა მომეჩნია ამერიკელების რჩევად და რომ ამ მხრივ მათსა და **ტიტოს** შორის სრული შეთანხმება არსებობდა...“

1948 წლის იანვარში **კოსტოვმა** აცნობა ბრალდებულებს **პავლოვსა** და **სტეფანოვს,** რომ იგი შეუთანხმდა **ტიტოსა** და **რანკოვიჩს** ევქსინოგრადში, იგრეთვე ის, რომ **ტიტოს** და იუგოსლავიის დანარჩენ ხელმძღვანელებს განზრახული ჰქონდათ უახლოეს მომავალში კავშირი გაეწყვიტათ სსრ კავშირთან.

გარდა ამისა, კოსტოვმა აცნობა პავლოვსა და სტეფანოვს, რომ იუგოსლავები დაეთანხმნენ მოითხოვენ, რომ მისმა ჯგუფმა ჩაატაროს **საჭირო** მომზადება თავის ქვეყანაშიც, **რათა** ბულგარეთი რაც შეიძლება მალე დაადგეს **იმავე გზას, რომლითაც ტიტოს** იუგოსლავია **მიჰყავსო.**

„...**მე განუმარტე მათ იმის აზრი და მნიშვნელობა, რასაც ტიტო** იუგოსლავიაში **აპირებდა,** იგრეთვე ჩვენს მხრივ ორგანიზებული მუშაობის აუცილებლობა, თუ გვსურს უკეთეს შედეგებს მოველოდეთ.

პავლოვმა და **სტეფანოვმა** ჩემი **განმარტება** თვითეულმა ცალკეაც მოისმინა. ისინი დამეთანხმნენ, რომ ჩემთან ერთად აწარმოებდნენ მუშაობას იმ გეგმის შესასრულებლად, **რომელზეც** შეთანხმებული ვიყავით **ტიტოსთან.** ამიგაგდ, მე და ჩემმა **უახლოესმა თანამშრომლებმა, პავლოვმა** და **სტეფანოვმა** შეგადგინეთ თავისებური ცენტრი, **რომელიც** საკუთარში ჩაუდგა მტრულ მუშაობას...“

ბრალდებულმა **პავლოვმა** დაადასტურა ეს ჩვენება და აჩვენა:

„...**როგორც კოსტოვმა** მაცნობა, ევქსინოგრადის სასახლეში **ტიტოსთან** მისი შეხვედრის შემდეგ **ტიტომ** მას შეატყობინა, რომ მოსალოდნელი იყო სსრ კავშირთან ურთიერთობის საბოლოო გაწყვეტა, ურჩია იგივე გაეკეთებინა ბულგარეთშიც და რაც უფრო მალე იზამდა ამას, მით უკეთესი იქნებოდა.

როგორც **კოსტოვმა** განმიცხადა საუბარში, რაც მოხდა მის კაბინეტში ცენტრალურ კომიტეტში, **ტიტომ** პირდაპირ დააყენა მის წინაშე საკითხი, საჭიროა მთელი ძალღონით შეეცადოთ ხელში ჩაიგდოთ პარტიის ხელმძღვანელობა და სახელმწიფოს მართვა, დანიშნოთ თქვენი საიმედო ადამიანები პასუხსაგებ პოსტებზეო. საჭიროა გამბედაობა გამოიჩინოთო, ურჩევდა **ტიტო კოსტოვს,** მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი წარმატება, ხოლო თუ საჭირო იქნება, იუგოსლავია მზად არის ყოველნაირი დახმარება გაგიწიოთ, მათ შორის სამხედრო დახმარებაც.

ამასთან ერთად, **კოსტოვის** განცხადებით, **ტიტომ** დააყენა ის საკითხი, რომ გზიდან უნდა მდგომოროთ გიორგი **დიმიტროვი,** რომელიც სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას ახორციელებს, და, თუ საჭირო იქნება, კიდევაც მოსპოთ ეს ბებერიო...“

პავლოვმაც დაადასტურა, **რომ 1948 წელს კოსტოვმა, ტიტოსთან** და **რანკოვიჩთან** შეთანხმების მიხედვით, ბულგარეთში შექმნა შეთქმულების ხელმძღვანელი ცენტრი მისი—**პავლოვის**—მონაწილეობით. მან აჩვენა:

„...**კოსტოვის** აზრით, ჩვენ აუცილებლად უნდა ჩამოვაყალიბოთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საქმიანობის გეზი, რასაც სათავეში ჩაუდგება ცენტრი, რათა საბოლოო მიზნად დავისახოთ სახელმწიფო აპარატისა და პარტიის ხელმძღვანელობას ხელში ჩაგდება, იმ მიზნით, რომ შემდეგ ბულგარეთი მოვუყვიტოთ სსრ კავშირს და გადავიყვანოთ იგი ინგლის-ამერიკის ბლოკის რელსებზე, რომელსაც ერთადერთს შესწევს უნარი უზრუნველყოს სამეურნეო აღმავლობა ბულგარეთში და ჩვენს ქვეყანაში ისეთი რეჟიმის დამყარება, რომელიც დასავლეთის დემოკრატიების მსგავსი იქნებაო.

კოსტოვს, სტეფანოვსა და მე **უნდა** შეგვედგინა ის ცენტრი, რომლის ხელშიც მოქცეული იქნებოდა შეთქმულთა მუშაობის მთელი ძაფები. შემდეგ **კოსტოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნებოდა ჩვენს კონტაქტს იუგოსლავებთან, რომლებსაც, მისი სიტყვით, უკვე „გაბსნილი ჰქონდათ ხელ-ფეხი“ ჩვენთვის ეფექტური დახმარების გასაწევად და აღგვითქვეს ასეთი დახმარება.

მე დავეთანხმე როგორც იმას, რომ საჭირო იყო უფრო აქტიურად გვეწარმოებინა არალეგალური მუშაობა, ისე **კოსტოვის** წინადადებას, რომ შევსულიყავი შეთქმულების ცენტრალური სამეულის შემადგენლობაში...“

ბრალდებულმა **სტეფანოვმა,** ისევე როგორც **პავლოვმა,** გამოძიებისას საკუთარი ხელით დაადასტურა, რომ **კოსტოვმა** მას შეატყობინა ის შედეგები, რაც მიღწეულ იქნა **ტიტოსთან** ევქსინოგრადში მოლაპარაკების დროს.

სტეფანოვმა ამის შესახებ აჩვენა:

„...ამავე საუბარში **კოსტოვმა** მაცნობა, რომ მას **ტიტოსთან** ჰქონდა პირადი საუბარი, რომლის დროსაც მათ განიხილეს ბულგარეთში ჩვენი ერთობლივი მუშაობის ყველა საკითხი.

კოსტოვმა მაცნობა, რომ **ტიტომ** კვლავ დაადასტურა მათი თანხმობა ჩვენი მუშაობის საერთო გეზთან და დაგვპირდა დახმარებას ყველაფერში, რაც კი დაგვჭირდებოდა.

ტიტომ, როგორც **კოსტოვმა** განმიცხადა, პირდაპირ დააყენა საკითხი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გიორგი **დიმიტროვის** მოშორებას. ყოველგვარი დაყოვნება, გაუბედობა, შეურიგებელი ხელმძღვანელების მიმართ ზომების მიღებელობა, უთხრა **ტიტომ კოსტოვს,** შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მთელი საქმისთვისო. ამასთან ერთად **ტიტო** დაჰპირდა **კოსტოვს** დახმარებას იუგოსლავიის მხრივ, მათ შორის სამხედრო დახმარებასაც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სათავეში ჩაუდგებოდნენ ხელისუფლებას, რათა დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ ფედერაცია, და ურჩია რაც შეიძლება მალე დაეწყოთ მოქმედება. **კოსტოვმა,** მისი სიტყვით, ცნობად და სახელმძღვანელოდ მიიღო **ტიტოს** რჩევა-დარიგება...“

სტეფანოვმაც აღიარა, რომ მანაც, **პავლოვთან** ერთად მიიღო მონაწილეობა ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების იმ ცენტრალურ სამეულის საქმიანობაში, რომელსაც სათავეში ედგა **კოსტოვი.**

„...1948 წლის ოქტომბერში ერთმანეთს შევხვდით ჩვენ სამნი: **კოსტოვი,** მე და **პავლოვი კოსტოვის** კაბინეტში. სწორედ ეს იყო შეთქმულების ცენტრალური სამეული...“

II.

ბრალდებულთა პირადი აღიარებით, მოწმეთა ჩვენებით და საქმის სხვა მასალებით გამორკვეულია, რომ **ტიტოსა** და **კოსტოვის** დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც ერთობლივად, წინასწარ დასახული გეგმებით და მუდმივი კონტაქტით მოქმედებდნენ, იყენებდნენ ბულგარელი ხალხის მეგობრულ გრძნობებს მისი სლავი ძმებისადმი — იუგოსლავიის მშრომელებისადმი, და სამხრეთი სლავების ფედერაციის პოპულარული იდეა გადაიქცეს თავიანთი საზიზღარი მიზნების მიღწევის საშუალებად, რათა მოესპოთ ბულგარეთის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მისი ნაციონალური სუვერენიტეტი, გადაექცეათ იგი **ტიტოს** იუგოსლავიის დანამატად და ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის ახალ კოლონიად.

ბრალდებული **კოსტოვი** თავის ბელგრადელ თანამოაზრეებთან შეთანხმებით, ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, მიიღო მასზე დამოკიდებული ზომები, რათა უზრუნველეყო იუგოსლავიის აგენტების თავისუფლად შეღწევა ბულგარეთის სახელმწიფო დაწესებულებებში.

იუგოსლავიის სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკ ვოისლავ **რისტიჩისათვის,** ხოლო შემდეგ — პოლკოვნიკ დრაგოტინ **ფილიპოვიჩისათვის,** რომელმაც მისი ადგილი დაიკავა, უზრუნველყოფილი იყო სამხედრო სამინისტროს მასალების გაცნობა და არმიაში ხელმძღვანელ მუშაკებთან ყოველდღიური კავშირის დამყარების შესაძლებლობა.

იუგოსლავიის ჯაშუშებს ხელი მიუწვდებოდათ კანონით დაცულ ცნობებთან, რომლებიც სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას შეადგენდნენ, იმ საბაბით, რომ საჭირო იყო შეეწყვალთ ბულგარეთის არმიის მდგომარეობა ერთნაირი სტრუქტურის შესაქმნელად და იუგოსლავიის არმიის ნიმუშის მიხედვით სწავლების მოსაწყობად, ვითომც იმის გათვალისწინებით, რომ ფედერაცია უნდა შეიქმნასო.

სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს მოხელეებისათვის უზრუნველყოფილი იყო შესვლა ბულგარეთის დანარჩენ დაწესებულებებშიც, მათ შორის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და სტატისტიკის მთავარ დირექციაში, სადაც მათ აგრეთვე შესაძლებლობა მიიღეს დაემყარებინათ ჯაშუშური კავშირი და ემოვათ საიდუმლო მასალები.

ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, 1948 წლის მაისამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოკალთებული იყო **რანკოვიჩის** პოლიციურ-ჯაშუშური სამსახურის სპეციალური წარმომადგენელი — ივან **ბოეკოვიჩი.** ოფიციალურ ჯაშუშს ხელი მიუწვდებოდა ყველაზე საიდუმლო ცნობებთან და აწყობდა თავის აგენტურას.

კოსტოვმა გამოძიებისას დაადასტურა ეს გარემოება და შემდეგ აჩვენა:

„...დაიწყო თავისებური თითქმის კერპთაყვანისმცემლობა იუგოსლავიისა და **ტიტოს** წინაშე. ბულგარეთის ყველა დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან ზედიზედ იგზავნებოდნენ დელეგაციები იუგოსლავიის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შესასწავლად, რათა შემდეგ ისინი ჩვენში გადმოგვეღო, იგრეთვე კავშირი დაგვეყარებინა იუგოსლავიის სათანადო ორგანიზაციებთან.

იუგოსლავიისაკენ ეს მკფიოდ დასაბუნებული გადახრა ინერგებოდა და წაქეზებული იყო იმ მიზნით, რომ ჩვენი საზოგადოებრივობის თვალში მიგვეჩქმალა სსრ კავშირისა და საბჭოთა არმიის ისტორიული როლი გერმანელი ოკუპანტებისაგან ბულგარეთის განთავისუფლებასა და ახალი ბულგარეთის მშენებლობაში.

ტიტოს იუგოსლავია წამოყენებული იყო როგორც ახალი მისაბაძი ნიმუში, რომელიც ვითომც უფრო მახლობელი იყო ბულგარეთის პირობებისათვის და უფრო ხელმისაწვდომი იყო ბულგარეთისათვის...“

პავლოვმა ამის შესახებ აჩვენა:

„...საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენ თითქმის ოფიციალურად შევძელით გაგვეტარებინა ის აზრი, რომ ბულგარელები იუგოსლავებზე უფრო ჩამორჩენილნი არიან, რომ უკანასკნელნი უფრო გაბედულნ და რადიკალურად წყვეტენ ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური გარდაქმნის საკითხებს, რომ ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ და გადმოვიღოთ მუშაობის მათი ფორმები და მეთოდები. ამასთან ყოველნაირად ხატავს ვსახამდით **ტიტოს** როგორც ყველაზე შესანიშნავ პოლიტიკურ მოღვაწეს ბალკანეთში...“

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ფედერაციის შექმნის გეგმა, როგორც იგი განზრახული ჰქონდათ **ტიტოსა** და **კოსტოვს** ბულგარელი ხალხის ძირეული ინტერესების საზიანოდ, წინა პლანზე წამოწეულ იქნა პირინის მხარის მოწყვეტისა და იუგოსლავიის მაკედონიასთან მისი შეერთების ამოცანა.

ჯილასთან შეთანხმების შესასრულებლად, რაც მიღწეულ იქნა 1945 წლის მარტში, **კოსტოვმა** ხელი შეუწყო იუგოსლავიის **აგენტებს ლაზო კოლიშევსკისა** და **დიმიტრ ვლახოვს** მათს ნაციონალისტურ მუშაობაში ბულგარეთის მაკედონელთა შორის.

დაწყებული მაკედონიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებით — **კოლიშევსკით,** რომელსაც **კოსტოვი** იცნობდა პლევენის საპყრობილეში 1943-1944 წლებში ერთად ყოფნის შემდეგ, და **ვლახოვით,** რომელსაც იგი იცნობდა ჯერ კიდევ 1933 წლიდან ემიგრაციაში ყოფნიდან, და დამთავრებული იუგოსლავიის საელჩოს მრჩევლებით პერო **მანგოვსკითა** და ბლაგოი **ბაჯი-პანზოვით,** ტიტოს ყველა ამ ფარული და აშკარა აგენტებისა და ემისრებისათვის, **კოსტოვის** დახმარებით, უზრუნველყოფილი იყო იმის შესაძლებლობა, რომ აშკარად ემოქმედნათ პირინის მხარის მოწყვეტისა და იუგოსლავიასთან მისი შეერთების სასარგებლოდ.

ბრალდებულმა ბლაგოი **ბაჯი-პანზოვმა,** რომელიც 1947 წლის დეკემბერში ჩამოვიდა სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს მრჩეველის თანამდებობაზე სპეციალური დაზვერვითი დავალებებით ბელგრადიდან, აჩვენა:

„...მაკედონიისა და იუგოსლავიის განთავისუფლების შემდეგ ხელმძღვანელებმა სკოპლედან და ბელგრადიდან მალე გაიჩაღეს ფართო დაზვერვითი და პროპაგანდისტული საქმიანობა ბულგარეთში. ამ საქმიანობის ცენტრი იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩო სოფიაში.

1945 წლის დამდეგს სოფიაში ჩამოვიდა „ოზნას“ პოდპოლკოვნიკი კირილე **მილიოვსკი.** მას თან ახლდა ცვეტა **ჩალიოვსკაია** — მაკედონიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის **კოლიშევსკის** ცოლისდა, „ოზნას“ ცნობილი თანამშრომელი.

· პირველი საქმე, რასაც **მილიოვსკი** და **ჩალიოვსკაია** შეუდგნენ, იდამიანთა შერჩევა იყო. პირველნი, ვინც მათ იუგოსლავიის დაზვერვაში თანამშრომლად მიიწვიეს იყვნენ: ანგელ **დინევი** და ატანას **მიტრევი.**

1946 წელს იუგოსლავიის საელჩოში სოფიაში ჩამოვიდნენ: პერო **მანგოვსკი** — საელჩოს მრჩეველი, მიტკო **ზაფიროვსკი**—საელჩოს პირველი მდივანი და ანტონ **კოლენდიჩი**—საელჩოს მრჩეველი კულტურის საკითხებში. მათი ჩამოსვლის შემდეგ მაკედონიის ხაზით საქმიანობა გაფართოვდა. მათ თანამშრომლებად მიიზიდეს ახალი ადამიანები: დიმიტრ **ხრისტოვი,** ძმები ილია და გიორგი **ბოიალცალიევები**—სოფიაში და კირილე **ნიკოლოვი**—ნეგროკოპში...“

ბრალდებულმა ილია **ბოიალცალიევმა** დაადასტურა დანაშაულებრივი კავშირი **ბაჯი-პანზოვთან** და აჩვენა:

„...**ბაჯი-პანზოვის** რჩევა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელი უნდა გამეტეხა ბულგარეთის კომპარტიისათვის და კვლავ გამოვსულიყავ პირინის მაკედონიის შეერთების სასარგებლოდ.

აგრეთვე საჭიროა, მეუბნებოდა **ბაჯი-პანზოვი,** აწარმოოთ მუშაობა ბულგარეთის კომპარტიის წევრ მაკედონელებთანაც და დაარწმუნოთ ისინი **ტიტოს** პოლიტიკის სისწორეშიო...“

საქმის გამო დაკითხულებმა გიორგი **ბოიალცალიევმა**—ყოფილმა ვაჭარმა, დიმიტრ **ხრისტოვმა** — „ექსპორტპროდუქტის“ დირექციის ყოფილმა მოხელემ და კირილე **ნიკოლოვმა**—ქალაქ ნეგროკოპის ყოფილმა პროკურორმა გამოძიებისას აჩვენეს, რომ სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს დავალებით ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ და ჯაშუშურ საქმიანობას პირინის მხარეში, ხოლო უკანასკნელი ორი იუგოსლავიის დაზვერვის დაქირავებული მოსამსახურე იყო.

იუგოსლავიის ჯაშუშმა **ხრისტოვმა** ამ საკითხზე აჩვენა:

„...სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს ჯაშუშურ დავალებათა შესრულებისათვის საელჩოს მრჩეველმა პერო **მანგოვსკიმ** სხვადასხვა დროს მომცა ფულადი ჯილდო 30 ათასი ლევის რაოდენობით, ხოლო საელჩოს მრჩეველმა **ბაჯი-პანზოვმა** — 10 ათასი ლევი და 2 ათასი დინარი, რაც ბულგარულ ფულზე გადაყვანით 11 ათას ლევს შეადგენს. გარდა ამისა, ბულგარეთში იუგოსლავიის საელჩოს პირველმა მდივანმა „ოზნას“ ოფიცერმა მარკო **ვუიაჩიჩმა** მომცა 20 ათასი ლევი...“

ნიკოლოვმა, რომელიც აგრეთვე იუგოსლავიის ჯაშუშური სამსახურის დაქირავებული აგენტი იყო, აჩვენა:

„...იუგოსლავიის დაზვერვის სასარგებლოდ გაწეული მუშაობისათვის მე მივიღე ფულადი ანაზღაურება სულ 160 ათასი ლევი...“

ბრალდებულმა **ბაჯი-პანზოვმა** და სოფიაში იუგოსლავიის საელჩოს ორმა სხვა უმაღლესმა მოსამსახურემ **ზაფიროვსკიმ** და **მანგოვსკიმ** რომლებიც სარგებლობდნენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით, თავხედურად გაიჩაღეს ძირგამომთხრელი მუშაობა ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ პირინის მხარეში.

გამხრწნელი მუშაობა, რომელიც წარმოებდა **ტიტოს** მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით ბულგარეთში მისი დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით, განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პირინის მხარის მაკედონელ მოსახლეობას კულტურული ავტონომია მიენიჭა, რის გამო იუგოსლავიის მაკედონიიდან მოწვეულ იქნენ მასწავლებლები ამ მხარის სკოლებში ლიტერატურული მაკედონური ენის სწავლებისათვის.

ბულგარეთის მხრივ მეგობრული ურთიერთობა და მისი მთავრობის ღონისძიებანი, რაც მიმართული იყო მაკედონელი მოსახლეობის ეროვნული კულტურის აღმავლობისა და აყვავებისაკენ, **რანკოვიჩის** აპარატმა ვერაგულად და საზიზღრად გამოიყენა პირინის მაკედონიაში ბულგარეთის მოწინააღმდეგე, **ტიტოს** აგენტურის დასანერგავად.

პირინის მხარეში ვითომც „მასწავლებლად“ შეგზავნილმა **რანკოვიჩის** ჯაშუშებმა იმდენად აიშვეს თავი, რომ სასწავლებლებში **დიმიტროვის** პორტრეტებსაც კი ხსნიდნენ და ცვლიდნენ მათ **ტიტოს** პორტრეტებით, აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ სექტემბრელებს მისთვის ერთგულების ფიცი მიეცათ.

სკოპლედან ჩამოსული „მასწავლებლები“ ანგარიშს არ უწევდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კანონებს და თვითნებურად ითვისებდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებს პირინის მხარის სოფლებში.

(გაგრძელება იქნება)

ა. ი. ვიშინსკის გზნცხადება

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი და საბჭოთა დელეგაციის მუშაკები, რომელნიც მას ახლავენ, ნიუ-იორკიდან მოსკოვს გამოემგზავრნენ. ამბ. ვიშინსკიმ გამომგზავრების წინ გემ „ამერიკაზე“ რადიოსა და პრესისათვის შემდეგი განცხადება გააკეთა:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოგანყოფილებამ მომმართა თხოვნით აზრი გამომეთქვა გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის შედეგების შესახებ. უნდა ვთქვა, რომ ეს შედეგები საბჭოთა დელეგაციას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. ეს შედეგები არადამაკმაყოფილებელია უკვე იმიტომ, რომ გენერალურმა ასამბლეამ უარი თქვა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებებისათვის, რომლებიც მიმართულია ახალი ომის მზადების დაგმობისა და მშვიდობის საქმის განმტკიცებისაკენ. ამრიგად, მშვიდობის საქმეს სერიოზული ზიანი მოუვიდა. გარდა ამისა, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპს, ეწინააღმდეგებიან იმ ძირითად ამოცანასაც, რომელიც დასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ხალხთა მშვიდობის განმტკიცების და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, იბრძოდა მშვიდობისათვის, იბრძვის მშვიდობისათვის და მომავალშიც იბრძოლებს მშვიდობისათვის მთელი სიმტკიცით, გაბედულებითა და ძალით. შევაფასე რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობა, მე უკვე გამოვთქვი ჩემი შთაბეჭდილებანი. ამას შემიძლია დავძინო შემდეგი: ვტოვებ რა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვუსურვებ ამერიკელ ხალხს ბედნიერებას და ახალი წლის ბედნიერად შეხვედრას“.

საბჭოთა უფროსების გამოუშვენის უდიდესი ნარმაგება ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 6 დეკემბერი. (საკადესი). ორი თვის განმავლობაში ბუდაპეშტში აჩვენებდნენ საბჭოთა ფერწერის გამოფენას. უნგრეთის რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს მისდამი. გამოფენა დაათვალიერა 350 ათასამდე კაცმა. ბევრმა დამთვალიერებელმა სურვილი გამოთქვა იქონიოს გამოფენაზე წარმოდგენილი საბჭოთა მხატვრების სურათების რეპროდუქცია. ამ მიზნით ხელოვნების ნაწარმოებთა გამომშვები სახელმწიფო სამმართველო ახლო მომავალში გამოუშვებს ლამაზად გაფორმებულ ალბომს, რომელიც შეიცავს გამოფენის 12 საუკეთესო სურათის რეპროდუქციას; მათ შორის იქნება: „ლენინი“ — მხატვარ ვასილიევისა, „წერილი ფრონტიდან“ — მხატვარ ლაქტიონოვისა, „მონადირეები“ — მხატვარ იაკოვლევისა, „მოსავლის აღება“ — მხატვარ გერასიმოვისა და სხვები.

ალბომი გამოვა 10 ათასი ცალი ტირაჟით.

ბულგარეთი სახელმწიფო დამნაშავის ზრაიჩო კოსტოვის და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

სოფია, 7 დეკემბერი. (საკადესი). დღეს აქ სახალხო არმიის ცენტრალური სახლის შენობაში დაიწყო ბულგარელი სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვის და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი.

საქმეს განიხილავს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარის ბორის ლოზანოვის, სასამართლოს წევრების—ნაიდენ რაპეჩევის, დიმიტრ სპასოვისა და სასამართლო მსაჯულთა — დრაგოი კოჯეიკოვის, სტოიან პოპოვის, ილია ინგატოვის და ვასილ მიხაილოვის შემადგენლობით.

ბრალდებას მხარს უჭერენ ვლადიმერ დიმჩევი და ტოდორ ცაკოვი. დამნაშავეებს იცავს 11 ადვოკატი. ამ საქმეზე გამოწვეულია 64 მოწმე და 29 ექსპერტი.

სასამართლოს დარბაზში იმყოფება ბულგარეთის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე ბულგარეთისა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის საბრალდებო აქტი.

საბერძნეთის მეფის ჯარების პროვოკაციები ალბანეთის საზღვარზე

ტირანა, 7 დეკემბერი. (საკადესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ნოემბერში საბერძნეთის მეფის ჯარებმა მოახდინეს 51 პროვოკაციული გამოსვლა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, აქედან 12 პროვოკაცია — მიწაზე, ხოლო 39 — ჰაერში.

ამ უკანასკნელ დღეებში, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, ათენელი მონარქისტ-ფაშისტები, ახორციელებენ რა მტრულ და დანაშაულებრივ პოლიტიკას ალბანეთის მიმართ, განაგრძობდნენ პროვოკაციულ მოქმედებას ალბანეთის სამხრეთ საზღვარზე. საზღვრის ეს ახალი დარღვევანი წარმოადგენენ ალბანელი ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის და შანტაჟის განგრძობას.

ეს მოქმედება შემადგენელი ნაწილია იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. იგი კოორდინირებულია ბელგრადელი ფაშისტების პროვოკაციებთან ალბანეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე. მას ხელს უწყობს ტიტოს ფაშისტური გესტაპოური ხროვის პოლიტიკა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც განაგრძობს თავის პოლიტიკას მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სასარგებლოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აცნობა საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტთა ყველა პროვოკაციული მოქმედება. მან მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაქცია იმ საფრთხეს, რასაც ათენის მთავრობის აგრესიული მოქმედება წარმოადგენს მშვიდობისა და უშიშროებისთვის ბალკანეთსა და მთელ მსოფლიოში.

დასავლეთ გერმანიაში დაქირავებულ არმიას ქმნიან

ბერლინი, 8 დეკემბერი. (საკადესი). როგორც გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგ ამ აბენდის“ კორესპონდენტი ბონიდან გადმოგვცემს, არსებული სარწმუნო ცნობებით ამჟამად დასავლეთ გერმანიაში დაგეგმილია გერმანიის უცხოელთა ლეგიონების 10 დივიზიის წინასწარ შექმნა ბოლონელი ფაშისტი გენერლის ანდერსის სარდლობით. შემდეგ გათვალისწინებულია დივიზიების რიცხვი გადიდდეს 25-მდე. ეს „კომპრომისული გეგმა“ მიღებულ იქნა ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნების პარიზის კონფერენციაზე. ადენაუერს დაევალა სათანადოდ მომაზადოს გერმანიის საზოგადოებრიობა დაქირავებული ჯარის შექმნისათვის. ზოგიერთი პირის აზრით, რომელნიც ახლო დგანან ადენაუერთან, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის კამპანიას, რომელიც შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარის ბრედლის ბრძანებით დაიწყო, წარმატება არა აქვს მოსახლეობაში. გერმანიის საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს სხვათა ინტერესებისათვის გერმანელი ახალგაზრდობის გამოყენების იდეას.

ა. ა. გრომიკოს მიღება

თურქეთის ელჩი ბ-ნი მ. გეკერი

8 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი მ. გეკერი იმასთან დაკავშირებით, რომ მან რწმუნების სიგელები უნდა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. (საკადესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო არმიის მომღერალთა გუნდი

7 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო არმიის მომღერალთა გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი გაჩო ავრავი).

ვაგზალზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის, საბჭოთა არმიის ალექსანდროვის სახელობის ცეკვისა და სიმღერის წითელდროშოვანი ანსამბლის, რუსული სიმღერის სახელმწიფო გუნდისა და სხვა მუსიკალური კოლექტივებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გუნდის პირველი კონცერტები გაიმართება 10 და 11 დეკემბერს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში. რეპერტუარშია ალბანური სახალხო სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, გლინკას, ჩაიკოვსკის, ვერდის, როსინისა და მოცარტის ნაწარმოებნი. (საკადესი).

სამშობიარო სახლი კოლმეურნეობაში

ჭუთაისის რაიონი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობ